საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№119 (6345) 4 ოქტომბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

## 6 ოქტომბერს თბილისში საზოგადოება „ლეჩხუმის“ ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საზოგადოება „ლეჩხუმის“ საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს, 11 საათზე საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ საქტო დარბაზში (თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა, №49) მოწვეულია საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა. მსურველებს იწვევენ საქართველოს ყველა რეგიონიდან. ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით: 99-94-68 და 36-24-57.

(საქინფორმი)

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის მეომარ-ინტერნაციონალისტებისა და ამ ომებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ომის ვეტერანთა, სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მშობლებისა და ქვრივების, მეომარ-ინტერნაციონალისტების სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის დონე. ამასთან რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ საკმარისად არ ზრუნავენ ომის ვეტერანთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მეომარ-ინტერნაციონალისტების, ამ ომებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივების (რომლებიც მეორედ არ დაქორწინებულან), მშობლებისა და ინვალიდი შვილებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 5 ივნისის №303 დადგენილების დამატებით:

1. 1991 წლის 1 იანვრიდან ბინის ქირის გადასახადისაგან გაანთავისუფლონ დიდი სამამულო ომის მონაწილენი, მეომარ-ინტერნაციონალისტები, ამ ომებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მომსახურეთა ქვრივები (რომლებიც მეორედ არ დაქორწინებულან), მშობლები და ინვალიდი შვილები.

2. გავრცელდეს დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და მეომარ - ინტერნაციონალისტებზე დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის კომუნალურ მომსახურებაში (გათბობა, წყალი, გაზი და ელექტროენერგია) დაწესებული შეღავათები.

3. უფლება მიეცეთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს უსასყიდლოდ მიიღონ პირად საკუთრებაში სახელმწიფო და საუწყებო საბინაო ფონდის ის ბინები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1991 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 21 სექტემბერი

## საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში

გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ხეცურიანმა.

სხდომამ განიხილა საკითხი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ.

ინფორმაცია გააკეთა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ხეცურიანმა. მან კომისიის წევრებს გააცნო რეგისტრირებული პარტიების და ბლოკების გადაწყვეტილებები დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების შესახებ.

სიტყვაში გამოსულმა კომისიის წევრებმა ისაუბრეს დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიასა, შრომით საქმიანობასა და პიროვნულ თვისებებზე. აღნიშნა, რომ დეპუტატობის კანდიდატები თანახმა არიან კენჭი იყარონ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში. კომისიამ განიხილა წინადადება მათი რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა:

ჩარკვიანი ჯანსუღ ავდილის ძე—დაბადებული 1931 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, მწერალი, უპარტიო, მცხოვრები ქ თბილისში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, (საარჩევნო ბლოკ „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინებისაგან“)

სალინაძე ჯემალ დავითის ძე—დაბადებული 1940 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, უპარტიო, ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, მცხოვრები ქ. ცაგერში (საარჩევნო ბლოკ „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინებისაგან“)

ცხვედიანი ნაირა გერასიმეს ასული—დაბადებული 1958 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, ფილოლოგი, უპარტიო, თბილისის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, მცხოვრები ქ. თბილისში (საარჩევნო ბლოკ „თავისუფლებისაგან“).

რეგისტრაცია გრძელდება

## გლეხური მეურნეობა: პირველი ნაბიჯები

ჩვენი რესპუბლიკის მთიან რეგიონებში, იქ, სადაც არარენტაბელური მეურნეობებია და სახელმწიფოს დოტაციით ირჩენენ თავს, ხელსაყრელია გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა. ამ პროცესის პირველი ეტაპი, კოლმეურნეობების ლიკვიდაცია და მის ნაცვლად გლეხური მეურნეობების დამკვიდრება მრავალი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს, ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივ-რელიეფური პირობები, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა გარკვეულად ართულებს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას.

ამას წინათ სოფელ ტვიშის სასოფლო კლუბში ჩატარდა ხალხმრავალი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ სოფლების—ტვიშის, ქორენიშის, ორხვისა და ლახეფის მცხოვრებლები. კრების მონაწილეები გაეცნენ გლეხური მეურნეობის განვითარების დროებით დებულებას. ბოლოს კრებამ აირჩია გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის, კოლმეურნეობის სალიკვიდაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშია რეგიონის ყველა სოფლის წარმომადგენელი. კომისიას დაევალა მოსამზადებელი სამუშაოების დროულად ჩატარება.

### სიძნელეების მიუხედავად

კომისია თავის მუშაობას წარმართავს დებულების შესაბამისად. დღეისათვის გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის სურვილი უკვე გამოთქვა ყველა ოჯახმა, რაც დაადასტურეს შესაბამისი განცხადებების წარმოდგენით.

სოფლად საკვების დამზადება დროულად რომ დაწყებულიყო, დასათიბი დათიბულიყო, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა პირველ რიგში გაენაწილებინათ გონის მთის სათიბი და სასიმინდე ფართობები. ამჟამად კი მიმდინარეობს მიწების აზომვა და კაკლის ხეების განაწილება.

შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით გლეხს ჩვენთან გადაეცემა 0,4 ჰექტარი მიწის ფართობი, ბაღები განაწილდება თითოეულ ოჯახზე, ასევე კაკლის ხეებიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვისაც კომისიის მიერ მიზომილ ნაკვეთში ექნება კაკლის ხე ან სხვა სახის ხეხილი, მათ ბაღი აღარ მიეცემათ.

დადგინდა მიწის გადასახადი რენტა, მაგრამ აქ კომისია წინააღმდეგობას წააწყდა. დადგენილია, რომ გლეხმა ყოველ 1000 კვადრატულ მეტრ სასიმინდე ფართობზე 13 მანეთი უნდა გადაიხადოს. როცა გაიანგარიშეს ყოველ 1000 კვადრატულ მეტრ სასიმინდე ფართობში დახარჯული შრომა (დახვნა, დაფარცხვა, ორჯერ გათოხნა, მიღებული მოსავლის გადმოზიდვა) ფულად გამოსახულებაში 70-80 მანეთამდე მიაღწია. ფაქტიურად კი ამ ღირებულების სიმინდი არ მოდის ამ ფართობზე, ამიტომ შეშინდა გლეხობა და აყენებენ საკითხს, რომ რაც შეიძლება შემცირდეს მიწის რენტის გადასახადი სასიმინდე ფართობზე, ანდა საერთოდ მოიხსნას. განსაკუთრებით ამ პრეტენზიას (თუკი ამას პრეტენზია შეიძლება ეწოდოს) ადგილი ჰქონდა გონის მთის ტერიტორიაზე არსებული სასიმინდე ფართობების განაწილებისას, რადგან დასახლებული ადგილიდან საკმაოდ დაშორებულ მანძილზე ჯერ ერთი, რომ ჭირს ყველა სამუშაოს ხელით შესრულება და მოწეული მოსავლის გადმოზიდვა.

ამ დღეებში კოლმეურნეობაში ჩატარდა ინვენტარიზაცია და ამჟამად სახეზე არსებული ქონება გაიყიდება ან ბალანსიდან ბალანსზე გადაეცემა სასოფლო საბჭოს. ხოლო, რაც შეეხება ტექნიკურ საშუალებებს, ვფიქრობთ, დარჩეს ადგილზე და მოემსახუროს მოსახლეობას საჭიროების მიხედვით.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა არ არის ისეთი პროცესი, რომ იოლად, ერთი ხელის მოსმით გადაწყდეს. ამიტომ, კომისია, რომელსაც ეს რთული საქმე დაეკისრა, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დებულების შესაბამისად იმოქმედოს და მოსახლეობის მხრიდან რაიმე უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონდეს.

**რ. ქვარიანი,**

ტვიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

განიხილა რა რაიონის შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებანი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

შეიქმნას საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიები.

### ორხვის საარჩევნო უბანი №1

კომისიის თავმჯდომარე—**როსტომ ბიქტორის ძე ახვლედიანი**—ორხვის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ომარ სპირიდონის ძე გაბიძაშვილი**—ორხვის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **ლეილა აკაკის ასული მახარობლიძე**—ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**წევრები:**

**მადონა ბონდოს ასული გაბიძაშვილი** — ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირისაგან.

**იური მიხეილის ძე მიქაუტაძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

### ტვიშის საარჩევნო უბანი №2

კომისიის თავმჯდომარე—**ლეილა აპოლონის ასული ნემსწვერიძე**—ტვიშის საექიმო უბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ზაზა ზურაბის ძე ჩაკვეტაძე** — ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **ცირა ბონდოს ასული გაბიძაშვილი**—ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**წევრები:**

**გებენ რაჟდენის ძე ჩაკვეტაძე**—ლახეფის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**აკაკი ევგენის ძე მოწონელიძე**—ტვიშის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**დავით ვალიკოს ძე გოლეთიანი**—ქორენიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**აზა ხარლამპის ასული ნემსწვერიძე**—ტვიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**გია ისმაილის ძე მიქაუტაძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**სიმონ სერიოჟას ძე ნემსწვერიძე**—ტვიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

### ალპანის საარჩევნო უბანი №3

კომისიის თავმჯდომარე—**მარინე ჟორას ასული ჯანაძე**—ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**მამუკა კანდიდის ძე ფრუიძე**—ლაჯანუჰესის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **მანანა ჭიჭიკოს ასული ქარსელაძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**წევრები:**

**ავთანდილ ვალიკოს ძე ჯანაძე**—ლაჯანურჰესის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**თინა ვანოს ასული გოლოძე** — კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ალპანის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ნუკრი ნოდარის ძე ჯანაძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**დარიკო ვაჟას ასული ფრუიძე**—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ზაურ ნოეს ძე ფრუიძე**—აჭარის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ლალი კოლიას ასული ირემაძე**—ალპანის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

### ზოგიშის საარჩევნო უბანი №4

კომისიის თავმჯდომარე—**გიორგი ანტონის ძე ახვლედიანი**—ზოგიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**რეზო პლატონის ძე ხვადაგიანი**—ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **ელისო შოთას ასული გოქაძე**—ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**წევრები:**

**მედიკო ალექსანდრეს ასული ხვადაგიანი**—ზოგიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ლია თენგიზის ასული მამარდაშვილი** — ზოგიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ხოსო კუკურის ძე ალავიძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**იური ტრიფონის ძე გოქაძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

### საირმის საარჩევნო უბანი №5

კომისიის თავმჯდომარე—**დუტუ ივანეს ძე ალავიძე**—საირმის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**გურამ სევარიონის ძე ჭოხონელიძე**—საირმის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი — **მაია არჩილის ასული სანიკიძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**წევრები:**

**ნელი თეოფანეს ასული გუგავა**—ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა მოსამსახურეებისაგან.

**გია გივის ძე სანიკიძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**მილორდი შალვას ძე ხუციძე**—საირმის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ოთარ ერმილეს ხე ხუციძე—საირმის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.**

### სურმუშის საარჩევნო უბანი №6

კომისიის თავმჯდომარე—**ქეთინო შალვას ასული ფრუიძე**—ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ლია თედორეს ასული სილაგაძე**—ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **ქეთინო ისკანდერის ასული ჩარკვიანი**—სახალხო ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**წევრები:**

**ჯუსტან შალვას ძე კობერიძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**თინა თომას ასული ობოლაძე**—ლაილაშის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

### თაბორის საარჩევნო უბანი №7

კომისიის თავმჯდომარე—**ნანი აქვსენტის ასული ქარსელაძე**—თაბორის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ელიკო ნიკოლოზის ასული ქარსელაძე**—ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი—**მთვარისა ამბროსის ასული კოპალიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**წევრები:**

**ალექსანდრე ერასტის ძე ქარსელაძე**—თაბორის არასრული საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**გია არშაკოს ძე სადილიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

### ლაილაშის საარჩევნო უბანი №8

კომისიის თავმჯდომარე—**ალექსანდრე გიგლას ძე თვარაძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ნოდარ ნესტორის ძე მეხხაძე**—ლაილაშის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციისაგან.

კომისიის მდივანი — **ლია გურგენის ასული ჩაჩხიანი**—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**წევრები:**

**ლორინა სამსონის ასული ერბელიძე**—ლაილაშის საშუალო სკოლის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მარინე დადაშის ასული ფალავანდიშვილი** — წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**რიტა მალაქის ასული თვარაძე**—ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ია ლეონტის ასული ხვადაგიანი**—ლაილაშის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისაგან.

### ლაჯანის საარჩევნო უბანი №9

კომისიის თავმჯდომარე—**ნორა აქვსენტის ასული მახარობლიძე**—ლაჯანის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე **გრიგოლ რაჟდენის ძე ბურჯალიანი**—ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **ასმათ ჯუმბერის ასული ჩაჩხიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**წევრები:**

**მარიკა ჯემალის ასული ონიანი**—ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ლამარა მოსეს ასული ახვლედიანი**—ორბელის სასოფლო საბჭოს პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**ვლადიმერ პავლეს ძე ხვადაგიანი**—ლაჯანის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**გია გურამის ძე დავითულიანი**—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**რუსიკო ალექსანდრეს ასული ახვლედიანი**—ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### ლაცორიის საარჩევნო უბანი №10

კომისიის თავმჯდომარე—**ამბერკი მალაქის ძე სილაგაძე**—სპათაგორის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვიოლეტა გრიშას ასული შეკიშვილი**—ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **ფერიდე გურამის ასული გოგებაშვილი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**წევრები:**

**ოლეგ სემინარის ძე ლარცულიანი**—ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

**ნათელა ვასილის ასული ახვლედიანი**—ორბელის სასოფლო საბჭოს პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**თამაზ გერონტის ძე ფუტკარაძე**—სპათაგორის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ომარ მიხეილის ძე სილაგაძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

### ორბელის საარჩევნო უბანი №11

კომისიის თავმჯდომარე—**თემურ მელიტონის ძე ბურჯალიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**თამარ გალაქტიონის ასული ჩაჩხიანი**—ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **ნარგიზა სევარიონის ასული ბურჯალიანი**—ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**წევრები:**

**ბიჭიკო ესტატეს ძე ბურჯალიანი**—ორბელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ვაჟა გივის ძე გვიშიანი**—ორბელის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**გურამ დომენტის ძე გზობავა**—ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

# დადგენილება

### საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

**ბექო გრიგოლის ძე გურგუჩიანი**—ორბელის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**პასიკო ვარლამის ასული გოლეთიანი**—ორბელის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**გულო შამშეს ასული გვიშიანი**—ორბელის სასოფლო საბჭოს პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ნაიბი ვალიკოს ძე გელოვანი**—ორბელის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**სოფო აკაკის ასული გვიშიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### უსახელოს საარჩევნო უბანი №12

კომისიის თავმჯდომარე—**რომან გრიშას ძე თვარაძე**—ქვედა უსახელოს ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ნათელა ბეგიას ასული გუგავა**—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **მერი გრიგოლის ასული გუგავა**—უსახელოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

#### წევრები:

**გივი პავლეს ძე გოლეთიანი**—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ვახტანგ ვალიკოს ძე ძნელაძე**—ზედა უსახელოს ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**რუსუდან აკაკის ასული შეკიშვილი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**გიზო სამსონის ძე მუკბანიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### წილამიერის საარჩევნო უბანი №13

კომისიის თავმჯდომარე—**თინა კონსტანტინეს ასული ლარცულიანი**—წილამიერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვარდენ ალექსანდრეს ძე ყიფიანი**—წილამიერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი — **ნიურა ამბროსის ასული ბურჯალიანი**—ორბელის სასოფლო საბჭოს პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

#### წევრები:

**ნანული თედორეს ასული ნემსწვერიძე**—ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ალიმ ჭუჭას ძე ყიფიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### ღვირიშის საარჩევნო უბანი №14

კომისიის თავმჯდომარე—**ბესიკ აკაკის ძე ხეცურიანი**—ღვირიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**გურამ სამსონის ძე ტყაბლაძე**—ღვირიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი — **იზა ჯიბილოს ასული გიორგობიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### წევრები:

**ციცო პიმენის ასული ხეცურიანი**—ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მზია გერონტის ასული გიორგობიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**ლეილა გრიგოლის ასული ფრუიძე**—ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

**თამილა ჯიმშერის ასული ტყაბლაძე**—ღვირიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**თენგიზ ერასტის ძე ხეცურიანი**—ღვირიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**გიზო ჯიმშერის ძე ქომეთიანი**—ღვირიშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

#### უცხერის საარჩევნო უბანი №15

კომისიის თავმჯდომარე—**თათარო ანდრიას ძე ნემსწვერიძე**—უცხერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ემზარ ენუქის ძე ახვლედიანი**—უცხერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი — **მანონ ავთანდილის ასული ახვლედიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

#### წევრები:

**ნაილი მიხეილის ასული ტვილდიანი**—ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ანზორ ანდრიას ძე ახვლედიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### ნასპერის საარჩევნო უბანი №16

კომისიის თავმჯდომარე—**რაფიელ დიმიტრის ძე ახვლედიანი**—ნასპერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ნანული კაპიტონის ასული ფუტკარაძე**—ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **ნინო ნოდარის ასული თაგვაძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### წევრები:

**ბორის ვლადიმერის ძე ხვადაგიანი**—ნასპერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ლალი შარდენის ასული ფრუიძე**—ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

**ლოლა არქიბოს ასული** ახვლედიანი — ნასპერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**მერაბ ვენედის ძე ახვლედიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

#### ნაკურალეშის საარჩევნო უბანი №17

კომისიის თავმჯდომარე—**იგორ გერონტის ძე ყურაშვილი**—ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე **ნანული იაკობის ასული** სვანიძე—ნაკურალეშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი — **ელისო შალვას ასული ყურაშვილი** — ნაკურალეშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

#### წევრები:

**გივი ვასილის ძე სვანიძე**—ცხუკუშერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**ბუჭუ იროდის ძე ყურაშვილი**—ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

#### ალვის საარჩევნო უბანი №18

კომისიის თავმჯდომარე—**ბონდო აკაკის ძე ჩხეტიანი** — ალვის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**შოთა დომენტის ძე ყურაშვილი**—ალვის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **მარინე ჯანიკოს ასული ფოჩიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### წევრები:

**ჯიმშერ მექის ძე ახვლედიანი**—ალვის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**მამუკა გრიშას ძე შკუბულიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**ლევან ვალიკოს ძე ახვლედიანი**—ალვის სასოფლო საბჭოს პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ქეთინო გრიგოლის ასული ჭაბუკიანი**—ალვის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

#### ლასურიაშის საარჩევნო უბანი №19

კომისიის თავმჯდომარე—**ლია ანზორის ასული მუშკუდიანი**—ლასურიაშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**თინათინ ვლადიმერის ასული ნებიერიძე**—ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **ლია ვაჟას ასული მუშკუდიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

#### წევრები:

**ნიკო მიხას ძე მუშკუდიანი**—ლასურიაშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**მარინე დუშმანდის ასული კანაჩაძე**—ლასურიაშის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისაგან.

**მარინე ომარის ასული ტვილდიანი** — ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ბექან ვლადიმერის ძე **ბრეგვაძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**ჯემალ თენგიზის ძე კობერიძე**—ლასურიაშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**დემურ ქრისტეფორეს ძე ხეცურიანი** — ლასურიაშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

#### დეხვირის საარჩევნო უბანი №20

კომისიის თავმჯდომარე—**თამაზ შოთას ძე ხეცურიანი**—დეხვირის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**მერი გალაქტიონის ასული ასათიანი** — დეხვირის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივისაგან.

კომისიის მდივანი — **ლეილა ომარის ასული მიქაძე**—ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

#### წევრები:

**ჯაჯუ პორფილეს ძე ჭაბუკიანი**—ლასურიაშის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ნინო შოთას ასული მუშკუდიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**ჟორა ვიტალის ძე ახვლედიანი**—დეხვირის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

**თამაზ ჭიჭიკოს ძე ჩიქოვანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### ჩხუტელის საარჩევნო უბანი №21

კომისიის თავმჯდომარე—**ომარ მიხეილის ძე ახვლედიანი**—ჩხუტელის გორის უბნის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ბიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძე**—ჩხუტელის საშუალო სკოლის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **თალიკო იაკობის ასული სვანიძე**—ჩხუტელის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

#### წევრები:

**მთვარისა მექის ასული მანდარია**—ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ლარისა ბიკენტის ასული ქარსელაძე**—ჩხუტელის ბაგა-ბაღის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ინგა გივის ასული ბურჯალიანი**—ჩხუტელის ჭალის უბნის ამომრჩევლებისაგან.

**რეზო მექის ძე ახვლედიანი**—სოფელ ლასხანის ამომრჩევლებისაგან.

**მურად ვარლამის ძე მუკბანიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

**ქეთინო სიმონის ასული გუგავა**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

#### ცაგერის საარჩევნო უბანი №22

კომისიის თავმჯდომარე—**შიო ამბაკოს ძე ახვლედიანი**—განათლების განყოფილების მუშა მოსამსახურეებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**მიხეილ ფილიპეს ძე მუშკუდიანი** — კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი — **მანანა რაფიელის ასული გოგიძე**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

#### წევრები:

**დათო რუბენის ძე ლეთოდიანი** — საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

**ნინო ბახვას ასული კოპალიანი**—აგრომრეწვბანკის შრომითი კოლექტივისაგან.

**ცარო დავითის ასული გიორბელიძე** — შემნახველი ბანკის შრომითი კოლექტივისაგან.

**მარინე შარდენის ასული მიქაძე** —რაიკოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

**ჯონი სამსონის ძე ყვირილიანი** — სანეპიდსადგურის შრომითი კოლექტივისაგან.

**ზაზა ავდიდოს ძე ყურაშვილი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

**ქეთინო შოთას ასული ჩაკვეტაძე**—ცაგერის №91 სპტ სასწავლებლის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ნინო ალექსანდრეს ასული ახვლედიანი**—ცაგერის რაიონული საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის სასწავლებელი

## ( ყოფილი № 42 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი )

## აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990 - 91 სასწავლო წლისათვის მკერავის პროფესიის დასაუფლებლად

სასწავლებლის სახელწოდების შეცვლასთან ერთად შეიცვალა სწავლების შინაარსი და ფორმები: ფაქტიურად ეს არის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მესამე საფეხური გაძლიერებული მწარმოებლური შრომით, ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავის პროფესიის დაუფლებით.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის 9 კლასდამთავრებულნი ნაცვლად ძრე არსებული სამწლიანი სწავლებისა ახალი სასწავლო წლიდან .ისწავლიან 2 წელიწადს და მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ტოლფას ატესტატს მკერავის პროფესიულ ატესტატთან ერთად. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია ქარგვის და კოსმეტიკის შესწავლა. ეს საგნები შეტანილი იქნება გაკვეთილების ცხრილში. წარჩინებით კურსდამთავრებულნი სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ვერცხლისა და ოქროს მედალოსნის უპირატესობით.

სრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სწავლების ვადა 10 თვეა. ისინი მიიღებენ პროფესიის შესაბამის დიპლომს. მათთვის სტიპენდია 70 მანეთია. ამ კატეგორიის წარჩინებით კურსდამთავრებულები სარგებლობენ საშუალო სკოლის მედალოსნის უპირატესობით პროფილის შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში.

როგორც ორწლიანი, ისე ათთვიანი სწავლების ვადით კურსდამთავრებულები სარგებლობენ უფლებით სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებელში, როგორც დღის, ისე საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე სასწავლებლის დამთავრებისთანავე. სასწავლებელში მიიღებიან აგრეთვე 9 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთაც სურთ მიიღონ მხოლოდ პროფესიული ცოდნა. მათთვის სწავლების ვადა 1 წელია. მათ შეუძლიათ სასწავლებელში სწავლასთან ერთად დაამთავრონ საღამოს სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

სწავლების ყველა ფორმით სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

სასწავლებელში დამამთავრებელი ჯგუფების მოსწავლეთათვის მოხდება უფასო მომზადება მათემატიკასა და ქიმიაში უმაღლესში მისაღები პროგრამების შესაბამისად.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაოთი ქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, ძირითადად კი ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებაში, სადაც ხელფასი 250 მანეთზე მეტია და შექმნილია მუშაობის საუკეთესო პირობები.

სასწავლებლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ (როგორც სრული, ისე არასრული საშუალო განათლების ბაზაზე). მსურველებს შეუძლიათ გაიარონ სპეციალური მომზადება 3-4 თვის გახანგრძლივებით მექანიკოს-მონტიორის, გამომჭრელის პროფესიების დასაუფლებლად. ისინი მიიღებენ დამატებითი პროფესიების დიპლომს.

ამასთან ერთად სასწავლებელში სამეურნეო ანგარიშზე გახსნილია ინდივიდუალური კერვისა და მანქანაზე ქსოვის შემსწავლელი კურსები. კურსებზე მიიღებიან ქალები ასაკის განუსაზღვრელად. სწ[illegible]

სასწავლებელში ახალი სასწავლო წ[illegible]ლი დატვირთვაა. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა.

მეცადინეობა დაიწყო 1 ოქტომბერს. არდადეგები დაემთხვევა საშუალო სკოლის მოსწავლეთა არდადეგებს.

დიფერენცირებული სწავლების შემოღებისა და რეორგანიზაციის შედეგად მივიღეთ სასწავლებელი რომლის დამთავრების შედეგად გოგონები შეისწავლიან ქალისათვის დიდად საჭირო პროფესიებს: კერვის, ქარგვის, ხელით ქსოვის და კოსმეტიკის, ამასთან ერთად უფლება ექნებათ სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას.

მისამართი: კოსმონავტების ქ. №65

ტელ. 6-31-75 6-79-25

ავტ. №1, 5, 11, 19, 28

**სასწავლებლის დირექცია**

---

## ჩვენი გაზეთის მკითხველებს!

## გამოიწერეთ „ლეჩხუმი"

დაიწყო და 1 ნოემბრამდე გასტანს ხელმოწერა პერიოდულ გამოცემებზე 1991 წლისათვის.

**ძვირფასო მკითხველო!** ხელმოწერა წარმოებს ჩვენს რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე". ხელმოწერები მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის" რაიონულ განყოფილებასა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სოფლის საფოსტო განყოფილებებში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 20 საათამდე.

გაზეთი ერთი წლით ღირს 7 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—3 მანეთი და 90 კაპიკი, 3 თვით—ერთი მანეთი და 95 კაპიკი.

---

## გილოცავთ

**მამუკა ვილიამის ძე გოლეთიანს**

გილოცავთ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის დაცვას, გისურვებთ წინსვლას და წარმატებებს.

**რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მედპერსონალი.**

**ძვირფასო ეთერი!**

გილოცავთ მამუკას სასახელო მიღწევებს. საამაყოა, რომ ვილიამის მდიდარი ტრადიციები საიმედო ხელშია.

**ბორის ხეცურიანი, ანზორ კოპალიანი ოჯახებით.**

**ლოლა, ბიძინა სალინაძეებს**
**მათიკო, დადაში ბენიძეებს**

გილოცავთ შვილების ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში, ვუსურვებთ ცხოვრების ბედნიერ გზას.

**სასურსათო კომბინატის თანამშრომლები ოჯახებით.**

**მზია, ტუხუ მანდარიებს**
**თინა, ბრიშა გუგავებს**
**გოგონა, გურამ მანდარიებს**

გილოცავთ შვილების ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში, ვუსურვებთ წინსვლას და ახალ წარმატებებს.

**სასურსათო კომბინატის თანამშრომლები ოჯახებით.**

---

რამაზ, ციცინო, ნანა, კახა, თინიკო ახვლედიანები, თინა გოლოძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბუჩუ, ვაჟა, ბიძინა, დინა გუგავები, გერონტი ლეთოდიანი, დადაში ბენიძე, რომან ბაქრაძე, ჯუმბერ გოგიძე, ჟორა შკუბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მანდარია.**

---

ასლან ფოჩხიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რომან მანდარია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ჯანუბი ხვადაგიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მიშა უგრეხელიძე, ჯემალ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მანდარია.**

---

უახლოესი მეზობლები რუსუდან ახვლედიანი, მურთაზ ჭელიძე, ზურაბ კუხალაშვილი ვილგემ კოპალიანი, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ტარიელ სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ძმა შოთა, რძალი თინა, ძმისშვილები ლედი, მათიკო, გია, ძმისშვილიშვილი ბექა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეუნია გიორგის ასული ჩხეტიანი**

დაკრძალვა 6 ოქტომბერს, შაბათს, სოფ. ლვირიშში.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია**

---

რაიონული სტამბისა და გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი ტვილდიანს სიძის

**კაკო ხვისტანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლევან ჩიქოვანი, კოსტა ღურჭუმალიძე, შიო ახვლედიანი, ალექსანდრე ცვარიანი, შოთა ჩაკვეტაძე, სერგო მიქაძე, საშა ჩაკვეტაძე, ოთარ ყურაშვილი, გრიშა ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის რაიკოოპერატივის, საზკვების, პურკომბინატის, ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სამსონ გუგავა ოჯახით იუწყება სიძის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალებას.

---

მათიკო გუგავა-მეგრელი იუწყება სიძის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალებას.

---

ბორის ხეცურიანი, ანზორ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან

**რომან მანდარიას**

**გარდაცვალებას.**

---

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ზინა და ნოდარ ბახსოლიანებს მამიდის

**თამარ ბახსოლიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სასურსათო კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლენა და ბიქტორ მეშველიანებს ძმისა და ცოლისძმის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

**რედაქტორი**

**ნ. ნემსაძე.**

---

თამარ, გული, თინა, სევერიან, შოთა, ტიტე კოპალიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან მანდარია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნათლული პაატა მურმანის ძე ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რომან მანდარია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

რობერტ, აზა კოპალიანები, ანდრო, მიმოზა ბურჯალიანები თანაუგრძნობენ ბიტუ, ლენა, ნონა მეშველიანებს

**რომან მექის ძე მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს სულიკო ახვლედიანს დისშვილის

**დალი გოლოძე-ჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო.

---

სერგო მეგრელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია.**

---

ბუჭუ მურცხვალაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რომან მექის ძე მანდარია.**

---

რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია გუგავას მეუღლის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია გუგავას მეუღლის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა, ალბერტ ბენდელიანები, დაზმერ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია გუგავას მეუღლის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

**ჩვენი მისამართი:** 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-13. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.